



პროლეტარიატს ექნება გეზი, —  
 სად გამოვიდეს, ვისთან და როდის:  
 იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა  
 და სასახლეოთა გოდება მოდის!  
 ღენინი მოდის!  
 მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ  
 ცინე-ბორკილის და ეშაფოტის!  
 იმ მატარებლით მოდის ნაშგალი,  
 იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!  
 ღენინი მოდის!  
 თავისუფლება და საფი მოდის!  
 ამხანაგებო! ღენინი მოდის!  
 ღენინი მოდის!

გალაკტიონ ტაბიძე

# ლ ე ნ ი ნ ი ს

## მ ა ხ ვ ი ლ ი

### ს ი ტ ყ ვ ა



„...როდესაც ჩვენ გავვაცნეს ერთმანეთს, მან მაგრად მომიჭირა ხელი, გამწომა თავისი გამჭირახი თვალებით და, თითქოს, ძველ ნაცნობს, ხუმრობის კილოთი მომმართა:

— კარგია, რომ ჩამოდით! ხომ გიყვართ ჩხუბი? აქ დიდი ჩხუბი იქნება“.

ასე იგონებს მაქსიმ გორკი ლენინთან თავის პირველ შეხვედრას ლონდონში.

„მე არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ისე გატაცებით იცინოდა, როგორც ვლადიმერ ილიჩი. უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ასეთი მკაცრი რეალისტი, ადამიანი, რომელიც ესოდენ ღრმად ხედავს და გრძნობს დიად სოციალურ ტრაგედიას აუცილებლობას, რომელიც შეურიგებელი და შეურყეველი სიძულვილით არის გამსჭვალული კაპიტალისტური მსოფლიოსადმი, ასე ბავშვურად, ცრემლებამდე და თავდავიწყებამდე იცინის. დიდი და მტკიცე სულის პატრონი უნდა იყო, რომ ასე იცინო.“

— ო, თქვენ იუმორისტი ყოფილხართ! — ამბობდა იგი და თან იცინოდა...

მოიწმინდა სიცილის ცრემლები და უკვე სერიოზულად, კეთილი ღიმილით მითხრა:

— კარგია, რომ თქვენ იუმორისტულად ეკიდებით ყოველგვარ დაბრკოლებას. იუმორი მშვენიერი, ჯანსაღი თვისებაა. მე მესმის იუმორი, მაგრამ ვერ ვფლობ მას. სასაცილო კი ცხოვრებაში არანაკლებია, ვიდრე სამწუხარო. მერწმუნეთ, არანაკლებია.

...ძველმა მეთევზემ, ჯოვანი სპადარომ თქვა მასზე: ასე სიცილი შეუძლია მხოლოდ პათიოსან კაცს“.

სიცილი, სატირა და იუმორი ვლადიმერ ილიჩის განუყრელი თანამგზავრი იყო. მისი საჯარო გამოსვლები, წერილები, ღრმად სერიოზულ პრობლემებზე დაწერილი ნაწარმოებები ყოველთვის გამოირჩეოდა ცოცხალი, ძარღვიანი, სასაუბრო მეტყველებით. მისი სატირა და იუმორი ხშირად გადადის მკვეთრად გამობატულ სარკაზმსა და მიზანდასახულ გროტესკში.

ლენინის მახვილი სიტყვა ყოველთვის ჩიხში აყენებდა მოწინააღმდეგეს.

ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ოგორდნიკოვმა ისე დახატა სიტუაცია, თი-

თქოს, კადეტებს მთავრობასთან შეთანხმების არავითარი ცდა არ ჰქონიათ, იყო მხოლოდ მოლაპარაკება და სხვა არაფერი.

სიტყვა აიღო ვლადიმერ ილიჩმა:

— ოგორდნიკოვის ნათქვამს თუ დავუჭერებთ, არავითარი შეთანხმება არ ყოფილა, იყო მხოლოდ მოლაპარაკება. კი მაგრამ, რას ნიშნავს მოლაპარაკება? შეთანხმების დასაწყისს. რაღას ნიშნავს შეთანხმება? მოლაპარაკების დასასრულს.

სიტყვა მთამდნის მუშათა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე:

— ამხანაგი ბუხარინი იქამდეც კი მივიდა, რომ იწყო ლაპარაკი „მუშათა დემოკრატიის წმიდათა-წმიდა ლოზუნგზე“. ეს მე წავიკითხე და ...კინაღამ პირჯვარი გადავიწერე.

1920 წელი. სიტყვა პროფკავშირების შესახებ:

„მე რომ ამხანაგ ბუხარინით კარო-კატურის ხატვა ვიცოდე, მას შემდეგნაირად დავხატავდი: კაცი, ნავთით სავსე ვედროთი ხელში, რომელიც ამ ნავთს ცეცხლზე ასხამს და ქვეშ მივაწერდი: „ბ უ ფ ე რ უ ლ ი ნ ა ვ თ ი“.

ბელადის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური, ფილოსოფიური ნაშრომი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამოირჩევა მახვილი სიტყვის ბარაქიანი მოხმარებით, ფრთიანი სატირისა და იუმორის სისტემატური მოშველიებით.

წიგნის შესავალში პარალელურადაა განხილული ემპირიოკრიტიციზმისა და მეთერამეტე საუკუნის მოაზროვნის — ჯორჯ ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის ძირითადი დებულებები.

ლენინის მიერ მათი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას შესანიშნავად გადმოგვცემს ერთი სხარტი ფრაზა, რომ ემპირიოკრიტიციზმი მხოლოდ და მხოლოდ ამოცოხნილი ბერკლიანობაა.

პლენანოვის საპასუხოდ ბოგდანოვი წერდა, რომ მას არ შეუძლია მახსიატად აღიაროს თავი ფილოსოფიაში, ვინაიდან მახსიაგან მხოლოდ „ელემენტის“ ცნება ვისესხე და მეტი არაფერი. „ელემენტის“ ცნება კი ძირითადი ცნებაა მახსიაში.

ბოგდანოვის თავისმართლებით განცვიფრებული ლენინი წერს:

„ეს იგივეა, რომ მორწმუნე კაცმა

თქვას: არ შემიძლია ჩემი თავი რელიგიის მომხრედ ჩავთვალო, ვინაიდან ამ მომხრეთაგან „მხოლოდ ერთი რამ“ ვისესხე: ღვთის რწმენა“.

როცა ბაზაროვმა ენგელსს მიაწერა აბსურდული დებულებები, ლენინმა თავისი აღშფოთება ორლესული სატირული ტირადით გამოხატა:

„ენგელსი გადამუშავებულია მახსის მიხედვით, მოხრაკულ-შესუნელებული და გადამუშავებული მახსიტური საწებლით. ოღონდ ყელზე არ დაადგეთ ჩვენს უპატივცემულეს მზარეულებს“.

ბაზაროვის კრიტიკას ამ საკითხში ლენინი ამთავრებს სიტყვებით:

„...ქებათა-ქება თქვენ, ამხანაგო ბაზაროვ! ჩვენ სიცოცხლეშივე დაგიდგამთ ძეგლს — ერთ მხარეზე თქვენივე გამონათქვამს წავაწერთ, მეორეზე კი: რუს მახსიტს, რომელმაც მახსიაში დაასამარა რუს მახსიტებს შორის!“

ფოიერბახის მიერ მატერიალიზმის პოზიციებზე მტკიცედ დადგომას და ჰეგელიანობაზე უარისთქმას ლენინი ასეთი მოსწრებული შედარებით გამოხატავს:

„ფოიერბახმა მოიჭრა ფილოსოფიური იდეალიზმის ჩინური ნაწნავი...“


ჰეგელზე უარისთქმა როდი ნიშნავდა ყოველივე იმის უკუგდებას, რასაც მისი აბსოლუტური იდეალიზმი შეიცავდა. სწორედ ამას გულისხმობს ლენინი ამ გროტესკულ ფრაზაში:

„...ისეთი მამლები, როგორც ბიუნერები, დიურინგები და K<sup>o</sup>იყვენენ (ლეკლერსა, მახსა და ავენარიუსთან ერთად), ვერ ამჩნევდნენ დიალექტიკას აბსოლუტური იდეალიზმის ნეხვის გროვში“.

რუსი მახსიტების არაპრინციპული კამათი ერთმანეთს შორის ლენინმა ასე მოხდენილად დაახასიათა:

„...ბოგდანოვს შეუძლია, რამდენიც სურს იმდენი ეკამათოს „ემპირიოსიმბოლისტ“ იუშკევიჩს, „წმინდა მახსიტებს“, ემპირიოკრიტიკოსებს და სხვებს. მატერიალისტების თვალსაზრისით ეს იქნება კამათი იმ ადამიანებს შორის, რომელთაგან ერთს ყვითელი ეშმაკი სწამს, მეორეს კი — მწვანე ეშმაკი“.

მსგავსი მაგალითები უამრავია... ლენინის სიტყვისათვის დამახასიათებელი სიმახვილე ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მისი გენიალური და უკვდავი ნაწერები მასებისათვის ასე მისაწვდომი და საინტერესო საკითხავია.



— საზარელი სიზმარი ვნახე: თითქოს ჩვენს საქმეს საშველი აღარ ჰქონდა.

— დაეგდე და დაიძინე! ეს სიზმარი კი არა, ცხადია, შე სულელლო!

შურნალი „ტარტაროვი“, № 42, 1930 წ.



მღვდელი — გაკურთხოს, შვილო, ღმერთმა! ჩვენი ყოფილბარ. ჭვარს სვამ ხელისმწერის მაგიერ.

გლუხნი — აი, დედას გიტირებ ყე, თუ ჩემამდისაც მოვიდა ი რა-ღაც საერთო სტავლებათა!

შურნალი „ტარტაროვი“, № 36, 1930 წ.



ნიკოლოზ მე-2, როგორც თვითონ თქვა, უპვარს ყვაფილები, თუმცაღა, ყვაფილების მოწყვეტის მაგიერ, უპვარდა თავის მოწყვეტა თავისი ქვეშევრდომებისაგან.



დედოფალი ალექსანდრა. უპვარდა ხელსაქმე — რასკუტინს საცვლებს უკერავდა საქუთარი ხელით.

შურნალი „ტარტაროვი“, № 10, 1930 წ.



ახე ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთის მოქალაქე



ახალმოდის ტიკინები მუშათა ბავშვების თავშესაქ-ცევად.

„ნიანგი“, № 4, 1923 წ.



„სხდომებს ვადაულოდინ“ დაიბეჭდა 1922 წლის 5 მარტს ვახუშტი „ი ზ ე ე ს ტ ი ა მ ი“ ის იყო კლ. მაიაჯვრის პირველი გამოცემა ერთიერთი დიდი პოლიტიკური გაჯეტის ფურცლებზე. ლექსმა მიიქცია ვ. ი. ლ. ი ნ ი ს უკრადლება და მეორე დღეს, 1922 წლის 5 მარტს, მელოთინეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტურ დრამატულ წარმოდგენულ სიტყვაში „საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და შინაური მდინარეების შესახებ“ აღნიშნა: „გუფონ „ი ზ ე ე ს ტ ი ა მ ი“ შეზღუდვები წავივითხე მაიაჯვრის ლექსი პოლიტიკურ თემაზე. მე არ

ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თუყვანისცემლებს. თუმცა სახეებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ, დიდი ხანია, არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკურ და ადმინისტრაციული ჯვალსაჩინოსთ. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად ჟღერებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებს არიან ვადაულოდინ. პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, დახვითებით ვამბობ, რომ ეს სახეებით სწორია“.

რასულ ბაზაბაძე, ლენინური პარტიის ლურჯები

**ვალდებურ მაინარეობა**

როს დამე პირება განთადის წითელ უბნში, გზიდაე — მოძრაობა დიდი: სამხრეთული უბნში, კომიტეტებში, დარბაზებში, ხალხი უპირავე მიდის. ჭაღაღღების წყნით, აჲ არის, შეხვალ შენობაში — ნახავ, რაც ხდება: აურთვიათა ჭაღაღღები ვერაზე მთავარი! — და ხალხი სხდომებზე მიემართება. გამოსვლები: იქნებ შესაძლებელია ავღიარეთა მათთან? იმდენ ხანს მატარებ — ვივიწყებ ხალხს. „ამხანაგი ივანე ივანის სხდომებზე გაგზარდა — თვის და ვაკონის“ გაერთიანების შესახებ.“ ამაზე მტკიცე კიბე სიცოცხლეს გაგიწვარებს, დასწყველი ბედს და იხვე: „თქვენ ერთი საათის შემდეგ დაიბარებს. სხდომა: საოლო კოპობრატევის მიერ მეღვანე შესყიდვის საკითხზე“.

საათი გავიდა. აჲ ვილა დარჩა?! შლიდაეეე გაქვრა, თითქოს მოიყვალა! 22 წლის ანაკანელე არაიან არ ჩანს, კომპიუტრის სხდომებზე ვივლა. ამ კიბეზე მთლად გამაქვრა, — და მღვივ გამომინდა მშვიდელ სართული. „ამხანაგი ივანე ივანის მოვიდა?“ „არა, ან-ბან-გან კომიტეტის სხდომებზე წასული.“ მოთმინებიდან გამოსული სხდომებზე შევიქირე გახეუბით. გზადაგზა ვაფრქვევ სამინიელ წყველა-ურულებს, — და ვქვდე: სხედან ადამიანთა ნახეირები. ი, გმეხვ დალახეროს! სხვა ნახეირები სად დაკარგულა? „ყვილი გამოსტყრეს დაბოცეს!“ — ვვივრი, გაგიყიდე ლამის. სამინიელმა სურათმა ჩემი ვინებდა არია. და მქმის უწყნარესი ხმა მდივანი ქალის: „ისინი ერთდროულად ორ სხდომებზე არიან. დღემო იც სხდომებზე

კაცი რას დაგდება... ძღვის ვასწრებთ მისვლას და ფიქრს. ძალაუნებურად გვიხდება გაგულაქ ქამრამდე აჲ, დანარჩენი — იჲ.“  
აღლევებულს რა დაგაინებებს... და, აი, დილის შუქზე იფრქვევა. დროა, გადაფურქვად კრებებზე ვლიობ: „ისეთი სხდომა როდის იქნება, რომ ყოველგვარი აღმოფხვრის სხდომის!“

1929 წ. თარგმნა ვასილ ლადაზაშვილმა.

- 1 თეო — განათლების სახალხო მინისტრის თეატრალური განყოფილება.
- 2 ვაკონი — მუშაკობის ტენსიონის მთავარი სამხატო-ველო.

კრება... სიტყვები გრძელი და ბერტყელი, კრება... სიოუმე, ხნაური, ღვა. ასე მეოინია, ქვეყანა მთელი აზრდება და კრებებზე წყავა.

გასაოცარი მართლაც და კია ეს სასახურის და საქმის ხალხი: ხირბაღს სიტყვებში თესენ და მკიან, სიტყვით აფებენ ქაბხენებს და სახლებს.

ერთი კვირია, არ უჩანს ბოლო ქირურგთა თათბირის, დავას და კრებას... ავღმყოფი კი, ბოლოს და ბოლოს, მანეთი კი არა, ლოდინით ცვდება.

გავიდა თითქმის დღე-ღამე ათი. მშენებლები კი ბუმბუნი და ბუმბუნი... აღარ აღგზა საშველი თათბირის, ხარაზოებს კი ედება ობი.

მუშევრებს თათბირზე გაუწყნად ქანკი, მგლებმა კი სოფლად გაუწყვიტეს ცხერები და გახეიბებინ, ლექსების ნაკვლიად, მეშვადვენე მზოლად ანგარიშს კრების.

იწყება სოფლად კულტურის სახლი, ალი და კვეპლი ავარდა ცაში. ამ დროს კრებებზე, ამაყი სახით, მეხანკურე ტურავს სიტყვების ზღვაში.

ღვას დირექტორთან მთხოვნელთა რიგი, აღარ იღება თოხას კარი, დღეს ზოთ თათბირზე გაშვლის იგი და სიტყვას უწერს მდივანი ქალი.

ღაბრუნდი სოფლად, მძობილო ჩემო, ეს ერთი კვირა ტყუილად გავლი. აჲ თათბირის, თათბირის თება — „უუარაღაღღებლად არც ერთი კაცია!“

კრება... ლაქაქით გამშრალი ენა, კრება... ლეგობით დაღლილი ხალხი. ეს ყალბი ქმუნვა თუ აღმადურენა ერთი გულხკაცის მარჯვენად არ ღირს.

გამგზავნეთ ოშში! — სიცოცხლეს დავთმობ, მზად ვარ საქმისთვის გულით და ფეკრით. გენგზავნე, სიმღერის მე მიხა კიტყვის, რაც ტრებუნდინან ახასღრის თიქმის.

მინდა გქვარა და გეშრომოდ ისე, როგორც ხალხსა და სამშობლოს ნებას... მაგრამ ლექსს ვეღარ ვაშთავებ რსევ, მინბობენ, უზნა დავეცსოთ კრებას!

1969 წ. თარგმნა ნოზარ ჯალაღონიძე.

**ნახატები კაპონინსანისა.**

ლენინის მიერ ბანაღ-ვარაუაული ინტერვიუნი-ისა და კონსტრუქციულა აიისი ბაგოშვიანი ვირა. სპეი



ლენინისი, კაპონინისი, მანაეალი, კოპონინისი, კოლაბაი, მახსო, იუღენისი, მახსინისი

# მოსრობები ლენინზე

## ფუტკრები

**როდესაც** ლენინი მოსკოვის მახლობლად, გორკოში ცხოვრობდა, დიდად იყო დაინტერესებული მეფუტკრეობით. ხშირად იძახებდა ერთ იქაურ მეფუტკრეს და ხანგრძლივად საუბრობდა მასთან.

აი, ერთხელ ლენინს დასჭირდა იგი, მაგრამ კაცი, ვინც მისი ადგილსამყოფელი იცოდა, სამწუხაროდ, მოსკოვს იყო წასული.

მაშინ ლენინს არავისთვის არაფერი უთქვამს, გამოვიდა სახლიდან და მინდვრისკენ გასწია. მიღის მინდორ-მინდორ და თან აქეთ-იქით იყურებდა.

ხედავს: ირგვლივ თეთრი სამყურა ყვავილე-

ბია, ყვავილებს კი აურაცხელი ფუტკარა ახვევია.

ლენინმა თვალი გადადევნა, საით მიფრინავდნენ ფუტკრები.

და დაინახა: ისინი მიფრინავდნენ რომელიღაც ბაღის მხარეს.

მაშინ ისიც იქით გაეშურა. შევიდა ბაღში, მიუახლოვდა სახლს, აკაკუნებს.

მეფუტკრე ლენინის დანახვზე სახტად დარჩა:

— გამარჯობათ, ვლადიმერ ილიასძე! როგორ მომაგენით? ვინ მოგასწავლათ გზა?

ლენინმა გაიცინა და თქვა:

— გზა თქვენმა ფუტკრებმა მომასწავლეს. მათ ზომიყვანეს აქ.


მეფუტკრე უარესად განცვიფრდა: — თქვენ უდიდესი ადამიანი და გენიოსი ხართ. ყველაფერში რაღაც განსაკუთრებულს ნახულობთ.

ლენინმა უპასუხა: — უბრალოდ, საჭიროა ცხოვრებაში ყურადღებიანი იყო.

მალე მათ მეფუტკრეობაზე ჩამოგდეს ლაზარაკი. თითქმის ორ საათს საუბრობდნენ.

შემდეგ სტუმარი დაენშვიდობა მასპინძელს და იმვე გზით წავიდა, რომლითაც მოვიდა.

## როგორ გააცურა ლენინმა ქანდარმები



**ბალახსაღებთან** დაბრუნების წინ ლენინის ქონში ქანდარმები გამოცხადდნენ:

— აქაურობა უნდა გავჩხრიკოთ. და თუ აკრძალული რამ აღმოჩნდა, სულ ცოტა კიდევ სამ წელს ჩაგტოვებთ ამ მიყრუებულ სოფელში!

სქელი, ულვაშა ქანდარმი კართან დგება, რომ არავინ შემოვიდეს ან გავიდეს, მეორე კი, ჭუჭა, მაგრამ მასაფით სქელი და წრისხანე, ოთანში დალაჯებს და ყველაფერს ცხვირს ყოფს.

აი, მან გაჩხრიკა მაგიდა, კომოდი, შეიჭყიტა ღუმელში და ლოგინის ქვეშაც არ დაიხარა შეძრომა. ბოლოს წიგნების კარადას მიადგა. ვერ გადაწყვიტა: ზედა თაროდან დაეწყო თუ ქვემოდან?

ლენინის მეუღლე, ნადეჟა კონსტანტინეს

ასული კრუპსკაია, უყურებს ქანდარმს და ფიქრობს:

„ნეტა, ზემოდან მოყვეს. დაიღლება და ბოლო თაროს გულისყურით ვერ გასინჯავს. ქვედა თაროდან თუ დაიწყო, შინ მაშინ ნახე — ზუსტად ამ თაროზე დევს, სხვა წიგნებს შორის, აკრძალულებიც“.

ლენინიც უყურებს ქანდარმს და ამასვე ფიქრობს. უცებ, ოდნავ გაღიმებული, იღებს სკამს და კარადასთან მიიქვს. თან ქანდარმს ეუბნება:

— თქვენი სიმალის პატრონმა ფეხის წვერებზე რომ არ იწიოთ, დადექით სკამზე და ისე იმუშავეთ.

ჭუჭა, ულვაშა ქანდარმა მიდლობა გადაუხადა თავაზიანობისათვის და სკამზე აძვრა. აი, დაიწყო ქექვა ზედა თაროებში, კითხულობს სა-

თურებს და ბერტყავს ყოველ წიგნს. დრო კი გადის...

მეხუთე თაროზე უკვე ნაკლები გულისყურით შეჩერდა. კართან მდგარმა სქელმა მძაკვამ ოხვრა დაიწყო და მოიწყინა:

— უჰ, როგორ გავრძელდა. დავიღალე და თანაც გვარიანად მოშვივდა.

ჭუჭას ბოლო თაროსთვის ხელი აღარ უშლია... ლენინს ეუბნება:

— როგორც ჩანს, აკრძალული არაფერი გქონიათ. კარგად იყავით.

ამ სიტყვებზე ისინი წავიდნენ. ვლადიმერ ილიასძემ და კრუპსკაიამ კი მხარულად იციინეს იმაზე, თუ როგორ მოტყუდნენ ქანდარმები.

## ზოგჯერ სამელნეების ჭამაც შეიძლება



**მთელი** თოთხმეტი თვე გაატარა ლენინმა მეფის საპყრობილეში. იგი იჯდა მომცრო, ნახევრარბნულ, ერთკაციან საკანში. რკინის საწოლი, მაგიდა და ტაბურეტი — აი, ყველაფერი, რაც იქ იდგა.

სხვა, ლენინის ადგილას, დღედაღამ იტირებდა და იმწუხრებდა, მაგრამ ლენინი ასეთი კაცი არ გახლდათ.

იგი აქაც თავაუღებლად მუშაობდა. დილით წაივარჯიშებდა, შეაღებ კი იწყებდა წერას.

ნათესაებს უფლებაც ჰქონდათ, მისთვის წიგნები გაეგზავნათ, ლენინმაც სწორედ ამ წიგნებზე დაიწყო წერა. მაგრამ ციხეში ყველა წიგნს ამოწმებდნენ, ვიდრე შინაურებს დაუბრუნებდნენ, და, თუ იქ თუნდაც ერთ რეჟოლუციურ სიტყვას ეოპკრავდნენ თვალს, იმ წიგნს წვაიდნენ.

მაშინ ლენინმა ასეთ ხერხს მიმართა: პურისგან მომცრო სამელნეებს აკეთებდა, შიგ რძეს ასხამდა, ფრთას აწებდა და ისე წერდა. რვეო-

ლუციონერებმა იცოდნენ, რომ ლამფის\* ან სანთლის ალზე რძე იწყებს განუქებას, ქალაღლზე გამოიკვეთება ყავისფერი ასოები და უკვე ყველაფრის გარჩევა შეიძლება, რაც დაწერილია.

ერთხელ ზედამხედველმა მალულად შეიჭყიტა კარის სარკმლიდან და უცნაურ სურათს წააწყდა: ლენინი წერდა წიგნის მინდვრებზე.

სწრაფად შელო კარი, საკანში შევიდა და ლენინს ეუბნება:

— თქვენ ჩავარდით. ახლახანს წიგნის მინდვრებზე რაღაცას წერდით! — თან წიგნში იყურებო. ხედავს: სუფთაა. სამელნის ალებას აპირებ, მაგრამ ლენინი ასწრებს, მშვიდად იღებს ჰიოში და დეკავს.

ზედამხედველი ეუბნება:

— რას შვრებით, სამელნეს ჭამთ?!

ლენინი უპასუხებს:

— თქვენ, მგონი, დაბრმავდით. ეს სამელნე კი, არა, პურია. ჰოდა, მეც შევექცევი.

ზედამხედველმა ჩახედა: ნამდვილად პურია. თან ფიქრობს:

„ნაღდად თვალს დამაქლდა. მონეჩენა კი, თითქოს სამელნეს ჭამდა“.

ამ ფიქრებით საენიდან გავიდა: — და მუდამ, როცა ზედამხედველი მოდიოდა, ლენინი მშვიდად იღებდა სამელნეს და უცებ ჭამდა. ეგებრიელებოდა კიდევ — ეს ხომ რძიანი პურია იყო.

ლენინი რომ ციხიდან გამოვიდა, სიცილით გაუტყდა ნაცნობ-ნათესაებს:

— იცით, ერთხელ არ გამიმართლა და ორ საათში ექსი სამელნის გადაყლაპვა მომიხდა.

ყველაფერს გაეცინა. მათ კი, ვინც არ იცოდა, რაზე იყო საუბარი, უკვირდათ: როგორ შეიძლება სამელნეების ჭამა?

მაგრამ, ჩანს, რომ ზოგჯერ შეიძლება.

გაღმთაქართულა პრლი თაქაიზვიღმა.

ილუსტრაციები ბ. შირცხალაპასი.

# ლენინური პრინციპულობა

**ვლადიმერ** ილიას ძე ლენინი იყო „ყველაზე ადამიანური ადამიანთა შორის“, მაგრამ ლენინური ჰუმანიზმი — ეს არის პოლიტიკური მებრძოლის ჰუმანიზმი, ეს არის სახალხო ტრიბუნის ადამიანობა, გაფთვებული პოლემისტის, შეუპოვარი სახელმწიფო მოღვაწის ადამიანობა, რკინის ნებისყოფის მქონე და რევოლუციის მტრების მიმართ შეურიგებელი ადამიანის ნებისყოფა.

ლენინი პატივს სცემდა პლენარის, მაგრამ მან გაწყვიტა მასთან ურთიერთობა, როგორც კი პლენაროვი ჩამოშორდა რევოლუციურ გზას და რევორმისტულ ლიანდაგებზე დადგა. ლენინი, შემდგომ, პლენაროვზე დაწერილ სტატიებში, არ იშურებდა ღვარძლიან ეპითეტებს მის მიმართ.

ლენინი მეგობრობდა მარტოვთან, მაგრამ მენშევიკი მარტოვი აღარ არსებობდა მისთვის — არც როგორც ადამიანი და არც როგორც მეგობარი.

ალბათ, იოლი არ იყო ლენინისათვის იმ ადამიანებთან კავშირის გაწყვეტა, რომლებსაც ის ბატონს სცემდა, ანდა უყვარდა კიდევ, მაგრამ ბრძოლის უმაღლესი მიზანი აიძულებდა, გულისძახილი პოლიტიკური გონიერებისათვის დაეჭვებდებარებინა.

მისი შეურიგებლობა რევოლუციის პირდაპირი მტრებისადმი საქვეყნოდაა ცნობილი.

ყოველ დეკემბერში, ყოველ პაწია წერილში, სახალხო კომისარტა საბჭოს ყოველ ბრძანებაში, რომელიც გამოდიოდა სამკედრო-სახილოცლო ბრძოლის დროს, მამინ რომ აწარმოებდა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, თქვენ ნახავთ ამ იძულებითი სიმკაცრისა და სამართლიანი შეუდრეკელობის ნიშნებს.

„17. VIII. 1918 წ.“

## ზადონსკი აღმასკომი, გოლდირევის

უადრესად მტკიცედ იმოქმედეთ კულაკებისა და მათთან შეთანხმებული მემარცხენე ესერი არამზადების წინააღმდეგ. მიმართეთ მოწოდებებით ღარიბ გლეხობას, დარაზმეთ იგი. მოსთხოვეთ დახმარება ელექს. აუცილებელია კულაკურბელების უღმობლად დათრგუნვა. გვიღებუეთ.

## სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

მაგრამ უფრო ღრმად, უფრო მაღალფეროვნად და ფაქიზად ლენინური ხასიათი, ლენინური ადამიანობა იმ წერილებსა და დებუებში ჩანს, რომლებიც, როგორც ახლა ჩვენში იტყვიან, „შინაური თემას“ ეხება. აქ მას ურთიერთობა უხდებოდა პარტიულ ამხანაგებთან, ადამიანებთან, რომლებსაც „ჩვენი კაცი“ ან „შინაური კაცი“ ერქვა.

აი, 1918 წლის 23 მაისის სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარის ცნობილი ბრძანება:

## „სახალხო კომისარტა საბჭოს საქმეთა მმართველს ვლადიმერ დიმიტრის ძე გონჩ-პურავიჩს“

ვინაიდან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი დაუინებითი მოთხოვნა — გეჩვენებინათ ჩემთვის, თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1918 წლის 1 მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ საბჭოს მდივან ნიკოლოზ პეტრეს ძე გორბუნოვთან შეთანხმებით, აშკარად უკანონოა და სახალხო კომისარტა საბჭოს 1917 წლის 28 ნოემბრის დეკრეტის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს.

სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარე **3. ულიანოვი (ლენინი)**“.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი ლენინის ყურადღება მეცნიერებისადმი. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტზე შევამჩნევთ თქვენს ყურადღებას: 1920 წელს გორკიმ საცხოვრებელი პირობების გამაუმჯობესებელ კომისიას მიმართა თხოვნით, რომელშიც აღნიშნული იყო პეტროგრადში მეცნიერთა ბინების სივიწროვე. ლენინმა ამის შესახებ გაიგო და, აი, რა უღებუა პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს:

„პატივცემული ამხანაგებო ჩემი აზრით, პიტერში (ბინების მხრივ უადრესად თავისუფალ ქალაქში) ზედმეტი ოთახი რომ მისცეთ მეცნიერებს კაბინეტებისათვის და ლაბორატორიისათვის, ღმერთმანი, ცოცხა არ არის. თქვენ თვითონაც კი უნდა გამოგვიჩინათ ინიციატივა.“

ძალიან გთხოვთ წინ წასწიოთ ეს საქმე, ხოლო თუ თქვენ ამას არ ეთანხმებით, უარს ნუ მეტყვით, მაშინვე მომწეროთ ორიოდ სიტყვა, რომ დავინახო, თუ რაშია აქ დაბრკოლება.“

კომუნისტური საღმით **3. ულიანოვი (ლენინი)**“.

ლენინი დელიკატური და რბილი იყო, მაგრამ მკვეთრი ხდებოდა, შეიძლება ითქვას სატირიკულად მკვეთრი, უღმობელიც კი თავისი უბიწო მრისხანებისას, როდესაც საქმე გამოუსწორებელ ბიუროკრატს ან უხასიათო ჯანჯალს ეხებოდა, ან უსაქმურ ყბელს, გამოუსადეგარ მუშაკს. ამ დროს ლენინი უხვად ამკობდა მათ მომავდინებელი ეპითეტებით.

1921 წლის 24 ოქტომბერს ნ. ა. სემაშკოსადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

„მოსკოვში უნდა მივადწიოთ საინოშუო (ან, დასაწყისისათვის, თუნდაც რიგიან) სისუფთავეს, რადგან წარმოდგენაც კი არ შეიძლება უფრო მეტი უმსგავსობისა, ვიდრე „საბჭოთა“ მუჭყია „პირველ“ საბჭოთა სახლებში. არაპირველ სახლებში რაღა იქნება?“

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ სულ მოკლე, მაგრამ ზუსტი, საქმიანი, ფაქტიური ანგარიში, რა და სად გამოვიდა გაჯანსაღების კვირეულიდან? ერთი გუბერნია მაინც თუ არის, სადაც რაიმე გაკეთებულია არა უთავბოლოდ? შემდეგ, რა კეთდება (და რა არის გაკეთებული?) მოსკოვში? პასუხს ვინ აგებს მუშაობისათვის? მარტო მედიდური საბჭოთა ტიტულის მქონე „ჩინოვნიკები“, რომლებსაც არა გუგებათ რა, რომლებმაც საქმე არ იციან და მხოლოდ ხელს აწერენ ქაღალდებს? თუ არიან საქმიანი ხელმძღვანელები? სახელდობრ ვინ?“

არანაკლებ მკაცრი და უღმობელია ვ. ი. ლენინი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან და საქმის შეუსრულებლობას სხვას აბრალებენ.

აი, როგორ შეამკო ლენინმა ისინი:

„ქვირფასო ამხანაგებო მივიღე თქვენი ქაღალდი № 24962 პრეზიდიუმის 7. X-ის დადგენილების ამონაწერით. სინდის ქვეშ უნდა გითხრაოთ, ეს დადგენილება შედგენილია პოლიტიკურად ისე უფიცად და ისე სულელურად, რომ გულის არევის იწვევს... პრეზიდიუმში იძულებულია პასუხისმგებლობა მოიხსნასო...“ ახე ჭირვეული ქალიშვილები იქცევიან და არა სრულსაკოვანი პოლიტიკოსები. პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნიოთ, არამედ სამაგად გააძლიერებთ.“

და, აი, წერილის ბოლო სტრიქონები, რომლებიც სავსეა ლენინური სიძლიერის სარკავზით:

„მაპატიეთ, გულახდილად რომ გამოთქვი აზრი და მიიღეთ კომუნისტური საღამი ლენინისაგან, რომელიც იმედოვნებს, რომ თქვენ ხელისუფლების უმოქმედობისათვის საპყრობილით დაგხჩიან, და რომელიც დიდად აღფრთოვებულია თქვენი ქცევით.“

ასე შეურიგებელი, ასე პრინციპული და ასე ერთგული იყო ვ. ი. ლენინი სახალხო-რევოლუციურ საქმისადმი. ჩვენ დღეს ლენინური საზომით უნდა გავზომოთ ყოველი ჩვენი საქმე თუ ქცევა — ყოველთვის და ყველაფერში, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, რადგან ლენინი კომუნისტის სინდისია.



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუშუბაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ბ. ნიშნაიანი (მთავ. რედ. მონაწილე), ნ. შველიძე, მ. ზეველიძე.

სატირისა და იუმორის უზრუნველყოფის „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი: პროსპექტი № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нянгы». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მონაღილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად 12/III-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-70 წ. ქალაქის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4. საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ძ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14 შიკვ. № 861. ში 02033 ტირაჟი 125.900




КОНТРОЛЬНЫЕ

ЭКВИВАЛЕНТ



წმირ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა — **მ. ი. ლენინმა** მისთვის დამახასიათებელი სიტყვადია და სიზუსტით განსაზღვრა სოციალისტური არსი. ეს არის თავისი მახვილით პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული რეაქციული, ყალბი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმდინარეობა. სოციალისტური ეს ლენინური დახასიათება დღესაც ძალაშია.

გაზეთი „პრავდა“



ნ.ბ. ბ. ლაშვილის